



მერების შეთანხმება აღმოსავლეთი – ჟურნალისტთა შესარჩევი კონკურსი

ევროკავშირის საფლავმანო ინიციატივის „მერების შეთანხმება აღმოსავლეთი“ - როგორც ამოქმედების შემდეგ, სამიზნე ქვეყნების ხელმძღვრე ქალაქებში გაიზარდა ჟურნალისტების მიერ ენერგოეფექტურობისა და კლიმატის ცვლილების საკვანძო საკითხებზე გამოქვეყნებული მასალების რაოდენობა და ხარისხი.

ზოგადი დებულებები

ამ დებულებებით დგინდება, აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნებში, ჟურნალისტებისა და მედიის კონკურსის (შემდგომში, "კონკურსი") პირობები მერების შეთანხმების ინიციატივის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების საუკეთესო გაშუქებაზე.

I. კონკურსის ორგანიზატორები

კონკურსის ორგანიზატორია ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტი "მერების შეთანხმება აღმოსავლეთი"

II. კონკურსის მიზნები და ამოცანები

კონკურსის მიზანია შეირჩეს ენერგოეფექტურობისა და გარემოს დაცვის პრობლემებზე მომუშავე, დაახლოებით ხუთ-ხუთი ჟურნალისტი სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან, ბელარუსიდან, საქართველოდან და მოლდოვადან, და 25 ჟურნალისტი უკრაინიდან - მერების შეთანხმების ფარგლებში გამართულ ჟურნალისტთა სემინარში მონაწილეობის მისაღებად. კონკურსი მიზნად ისახავს ბეჭდვით და ელექტრონულ მედიაში, რადიოსა და ტელევიზიაში მომუშავე ჟურნალისტების წახალისებას, რათა გამოაქვეყნონ სტატიები ხელმძღვრე მხარეების მიერ მდგრად ურბანულ განვითარებაში შეტანილ წვლილზე, ხელი შეუწყონ ახალი შეთანხმების პოპულარიზაციას და ევროკავშირის ინიციატივის შესახებ ინფორმირებულობის ამაღლებას აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში.

III. კონკურსის მონაწილენი

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად მოწვეულნი არიან აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების სატელევიზიო კომპანიების, რადიოსადგურების, ბეჭდვითი და ინტერნეტ მედიის ჟურნალისტები, ბლოგერები, სახელმწიფო, რეგიონული და ადგილობრივი მედია საშუალებების საკუთარი კორესპონდენტები. კონკურსი ღიაა ჟურნალისტების მიერ კონკრეტულად ამ კონკურსისთვის შექმნილი სტატიების/ახალი ამბებისათვის. ჟურნალისტები უნდა ცხოვრობდნენ აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში: სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელარუსი, საქართველო, მოლდოვა და უკრაინა.

IV. კონკურსის წესები და პროცედურები

4.1. კონკურსის პროცედურით გათვალისწინებულია შემდეგი:

- ბეჭდვითი და ინტერნეტ მედია საშუალებებისთვის: "ვორდის" ფორმატში დაწერილი სტატიის ორიგინალი (მაქსიმუმ 7000 სიმბოლო, ინტერვალის გარეშე);
- ტელე- და რადიოსათვის: პროგრამის ან სიუჟეტის ვიდეო მასალა (დისკზე), და ასევე ამ პროგრამის ან სიუჟეტის სკრიპტი "ვორდში"

4.2. ყველა მასალა მიწოდებული უნდა იქნეს ელექტრონული ფოსტის საშუალებით **2017 წლის 30 ოქტომბრამდე** მონაცემთა მიღების ადმინისტრატორების ელექტრონულ მისამართებზე ქვეყნების მიხედვით:

სომხეთი: ტატანა დერევიანკინა (tatiana.derevyankina@eumayors.eu), არტემ ხარაზიანი (artem.kharazyan@eumayors.eu) და ანუშ ბეგლოიანი (abegloian@gmail.com);





აზერბაიჯანი და საქართველო: ტატინა დერევიანკინა (tatiana.derevyankina@eumayors.eu), გიორგი აბულაშვილი (george.abulashvili@eumayors.eu) და ლიანა ღარიბაშვილი (L_gari@eecgeo.org);
ბელორუსი: ტატინა დერევიანკინა (tatiana.derevyankina@eumayors.eu), ივან შჩადრანოკი (ivan.shchadranok@eumayors.eu) და ანტონ რადნიანკო (radniankou@eu-belarus.net);
მოლდოვა: ტატინა დერევიანკინა (tatiana.derevyankina@eumayors.eu), ირინა პლისი (aer.moldova@gmail.com) და ლილია კურჩი (liliacurchi@gmail.com);
უკრაინა: ტატინა დერევიანკინა (tatiana.derevyankina@eumayors.eu), ოქსანა კისილი (oksana.kysil@eumayors.eu) და ასლი ადნრეი კირჩევს (andriy.kyrchiv@eumayors.eu).
 30 ოქტომბრის შემდგომ მიღებული მასალები კონკურსზე არ დაიშვება.

4.3. კონკურსში მონაწილეობისთვის განკუთვნილი მასალები წარმოდგენილი უნდა იქნეს (მოქმედი გმირის პირით) მოთხრობილი ორიგინალური მასალის ფორმით, ყურადღება უნდა გამახვილდეს ქვეყანაში ენერგოეფექტურობისა და კლიმატის ცვლილებებთან დაკავშირებულ პრობლემებზე, და მოიცავდეს (და არ შემოიფარგლებოდეს) მერების შეთანხმებასთან დაკავშირებულ შემდეგ თემატიკას:

- ენერგეტიკისა და კლიმატის სფეროში ადგილობრივი პოლიტიკის შემუშავება;
- ხელმომწერი მხარეების წარმატებული მაგალითები;
- შეთანხმების მიზნები აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში;
- ქალაქებში მოწინავე გამოცდილების დანერგვის აღწერა;
- შეთანხმების ეროვნული და ტერიტორიული კოორდინატორების როლი;
- კლიმატის ცვლილების შერბილების ანდა ადაპტაციის, CO₂-ის ემისიების შემცირების ადგილობრივი ინიციატივები;
- ენერგოეფექტურობის მნიშვნელობა მდგრადი ურბანული განვითარებისთვის;
- განახლებადი ენერჯია ქალაქის მაცხოვრებელთათვის;
- შეთანხმების გავლენა საცხოვრებელი პირობების და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებაზე;
- ენერგოეფექტურობის ღონისძიებების გატარებით ხელმომწერი ქალაქების მაცხოვრებლების მიერ მიღებული სარგებელი და ა.შ.
- **4.4.** საკონკურსოდ შემოსული თითოეული მასალა უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:
- ავტორის სახელი და გვარი, თანამდებობა, ფსევდონიმი (თუ საკონკურსო მასალებში ნახსენებია);
- მედია- ან ინტერნეტ წყაროს დასახელება;
- ელექტრონული მისამართი და ტელეფონის ნომერი.

4.5. ხელმომწერილი განაცხადება, რომელშიც თანახმადაც სტატიის ავტორი, უფლებას აძლევს "მერების შეთანხმება-აღმოსავლეთს" ს გამოაქვეყნოს სტატია თავის ვებ ანდა ფეისბუქის გვერდზე.

4.6. კონკურსის პირობების შესაბამისად წარმოდგენილი ყველა მასალა შეიძლება გამოქვეყნდეს მერების შეთანხმება-აღმოსავლეთის ფეისბუქის გვერდზე: www.facebook.com/CovenantOfMayorsEast?fref=ts

4.7. თუ მასალა წარმოდგენილია ხელმომწერი ქვეყნის სახელმწიფო ენაზე, მას თან უნდა დაერთოს ინგლისური ან რუსული თარგმანი ანდა ანოტაცია მითითებულ ენებზე.

4.8. მონაწილეობის მსურველებს შეუძლიათ წარმოადგინონ არაუმეტეს სამი მასალისა.

4.9. საკონკურსოდ მიღებული მასალები უკან არ ბრუნდება და არ ხდება მათზე მითითება.

V. კონკურსის ჟიური

5.1. შემოსულ მასალებს განიხილავს ჟიური თითოეულ ზემოთ ნახსენებ ქვეყანაში. თითოეული ჟიურის შემადგენლობაში შედიან: მერების შეთანხმება-აღმოსავლეთის პროექტის გუნდი, საერთაშორისო მედია-ექსპერტები და შეთანხმების ეროვნული კოორდინატორების წარმომადგენლები.

5.2. ჟიურის გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

VI. შერჩევის კრიტერიუმები

მასალები შეფასდება შემდეგი კრიტერიუმების საფუძველზე:





- უმთავრესი კრიტერიუმია მერების შეთანხმების თემატიკასთან შესაბამისობა;
- სტატიის მიმართ ძირითადი მოთხოვნები იგივეა, რაც ზემოთ იყო ჩამოთვლილი;
- რეპორტაჟის ხარისხი, ინფორმაციის სიზუსტე;
- მნიშვნელობა საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაზე დადებითი ზემოქმედების თვალსაზრისით;
- რეპორტაჟში მოცემული ინფორმაციის ლოგიკური ანალიზი;
- რთული საკითხების მარტივად გადმოცემა;
- წერის სტილი, გამირის/ხალხის/საზოგადოების სახელით თხრობის გზით თემის გახსნის სანიმუშო ტექნოლოგიების დემონსტრაცია;

მერების ტრაციის/საზოგადოების მოცემა იგივე-ერებისტ: www.facebook.com/CovenantOfMayorsEast?fref=ts
გამოქვეყნებული "ამოქვეყნებული "like"-ების ქვეყნებულიom/CovenantOfMay
ის ქვეყნებულიom/Cove კრიტერიუმად რიტერიუმად.

შერჩევა და დაჯილდოება

- 6.1.** მასალების განხილვა გაიმართება 2017 წლის 31 ოქტომბრიდან 3 ნოემბრამდე.
- 6.2.** კონკურსის შედეგები თითოეულ ქვეყანაში გამოქვეყნდება არაუგვიანეს 2017 წლის 6 ნოემბრისა მერების შეთანხმება-ადმოსავლეთის ვებ-გვერდისა და ფეისბუქის გვერდის საშუალებით. მხოლოდ გამარჯვებული ჟურნალისტები იქნებიან პირადად ინფორმირებულნი.
- 6.3.** კონკურსის შედეგად შერჩეულ ჟურნალისტებს საშუალება მიეცემათ მონაწილეობა მიიღონ მერების შეთანხმება-ადმოსავლეთის პროექტის ფარგლებში გამართულ ჟურნალისტთა სემინარში. ორდღიანი ტრენინგი სავარაუდოდ ჩატარდება უკრაინაში, 2017 წლის 21-22 ნოემბერს, უკრაინის ცენტრალური და რეგიონული მედიასაშუალებების ჟურნალისტებისთვის; და მოლდოვაში, 2017 წლის 29-30 ნოემბერს, ჟურნალისტებისთვის სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან, ბელორუსიდან, საქართველოდან და მოლდოვიდან.

